

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

2021 წელი
9-11 აპრილი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2001-2003 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები.

IV. რეგისტრაცია, შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებ გვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 2 აპრილს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- აწონვის დროს მონაწილე სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა სავალდებულოა წარმოადგინონ სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე.
- შეჯიბრება ჩატარდება 2021 წლის 10-11 აპრილს. ჩემპიონატის ჩატარების ადგილი. ქ. თბილისი, ბელიაშვილის 38, ძიუდოს აკადემია.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი – 9 აპრილი, წასვლის დღე – 11 აპრილი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაკეთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონვაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას ძიუდოს აკადემიის მთელ ტერიტორიაზე ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ჩემპიონატი ჩატარდება შესარჩევი ტურნირის გარეშე.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში:
-60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; -100კგ; +100კგ;
10 აპრილი – -60კგ; -66კგ; -100კგ; +100კგ.
11 აპრილი – -73კგ -81კგ; -90კგ;

VI. აწონვა

აწონვა ვაჟებში:

9 აპრილი ქ. თბილისი, ბელიაშვილის 38, ძიუდოს აკადემია
-60კგ; -66კგ; -100კგ; +100კგ.

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

10 აპრილი ქ. თბილისი, ბელიაშვილის 38, ძიუდოს აკადემია
-73კგ -81კგ; -90კგ.

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება (ტატამის გაწყობა), საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მსაჯთა და ორგანიზატორთა სასტუმრო და კვება, დაცვის მომსახურება, მედპერსონალის ხელფასი, კოვიდ-რეგულაციების უზრუნველყოფა და სხვადასხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2516466;

საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 571000222 ირაკლი ცირეკიძე

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი